

ქართული დიასპორის CRM პლატფორმა (Web Application)

ტექნიკური მოთხოვნების დოკუმენტი

მომზადდა: გიორგი ყანჩაველი
მომზადდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს
დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტისთვის

2024.02.29

აპლიკაციის და დოკუმენტის შესახებ

ვებ აპლიკაციის მიზანია შექმნას ინფორმაციის ადმინისტრირებისა და კომუნიკაციის მარტივი და კომფორტული ფუნქციონალი, რომელიც ერთი მხრივ გააუმჯობესებს და სისტემატიზაციას მოახდეს საზღვარგარეთ მყოფი თანამემამულეებისა და დიასპორული გაერთიანებების შესახებ მონაცემების აღრიცხვის პროცესს, ხოლო მეორეს მხრივ შექმნის მონაცემების დამუშავებისა და რეგისტრირებულ მომხმარებლებთან ურთიერთობის მარტივ ხელსაწყოებს.

ამ დოკუმენტში განხილულია პროგრამის ტექნიკური დეტალები და მოთხოვნები.

ქართული დიასპორის CRM პლატფორმა.....	3
1. შესავალი.....	3
1.1 მიზანი.....	3
1.2 პროექტის ფარგლები.....	3
1.3 დაინტერესებული მხარეები (Stakeholders).....	4
1.4 დოკუმენტის შინაარსი.....	4
2. CRM პლატფორმის ფუნქციონალური მოთხოვნები.....	4
2.1 მომხმარებლები.....	5
ავტორიზაცია / რეგისტრაცია.....	5
ტიპის მომხმარებლები:.....	6
როლების მატრიცა.....	6
2.2 სამართავი პანელის ლეიაუტი.....	7
2.2.1 სამართავი პანელი ზოგადი მახასიათებლები.....	7
2.2.2 დემზორდი.....	8
2.2.3 ცხრილები.....	9
2.3 ფუნქციები და პროცესები.....	12
2.3.1 ახალი განაცხადის დამატება ადმინიდან.....	12
2.3.2 ახალი განაცხადის დამატება Public URL-იდან ან API ინტეგრაციით.....	13
2.3.3 მონაცემების უნიკალურობის დაცვა.....	14
2.3.4 მონაცემების განახლება.....	15
2.3.5 შეტყობინებების მართვა.....	16
2.3.6 მონაცემების გაზიარება სხვა პლატფორმებისთვის.....	17
2.3.7 კალენდარი.....	17
2.3.8 გლობალური პარამეტრები.....	18
2.4 მონაცემების დამატების ანკეტები.....	19
3. პლატფორმის ტექნიკური მოთხოვნები.....	29
4. პროექტის მართვა და მისი ჩაბარება.....	29

ქართული დიასპორის CRM პლატფორმა

1. შესავალი

1.1 მიზანი

ვებ აპლიკაციის მიზანია შექმნას ინფორმაციის ადმინისტრირებისა და კომუნიკაციის მარტივი და კომფორტული ფუნქციონალი, რომელიც ერთის მხრივ გააუმჯობესებს და სისტემატიზაციას მოახდეს საზღვარგარეთ მყოფი თანამემამულეებისა და დიასპორული გაერთიანებების შესახებ მონაცემების აღრიცხვის პროცესს, ხოლო მეორეს მხრივ შექმნის მონაცემების დამუშავებისა და რეგისტრირებულ მომხმარებლებთან ურთიერთობის მარტივ ხელსაწყოებს.

1.2 პროექტის ფარგლები

პროექტის ფარგლებში უნდა შეიქმნას CRM ფუნქციონალის მქონე ვებ აპლიკაცია დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის თანამშრომლებისა და მათთან დაკავშირებული პიროვნებების შიდა მოხმარებისთვის.

CRM პლატფორმამ უნდა უზრუნველყოს:

- მონაცემთა აღრიცხვა
- მონაცემთა განახლება
- მონაცემთა გამოყენება
- მონაცემთა გაზიარება

პროგრამამ უნდა უზრუნველყოს უცხოეთში სხვადასხვა სფეროში დასაქმებული თანამემამულეების, ასევე იქ მოქმედი დიასპორული ორგანიზაციების, საგანმანათლებლო, შემოქმედებითი და სხვა ტიპის ორგანიზაციების შესახებ მონაცემთა აღრიცხვა და მენეჯმენტი.

მონაცემების სტრუქტურის დეტალური ინფორმაცია მონოდებულია დოკუმენტში.

CRM მოდულში მოცემული მონაცემები ინტეგრაციების საშუალებით ხელმისაწვდომი იქნება პარტნიორი ვებ საიტებისთვის.

მონაცემების შეგროვების გარდა პლატფორმა აერთიანებს დამატებით ფუნქციებს, როგორცაა **User Management**, შეტყობინებების სისტემა, მარკეტინგული ხელსაწყო, მონაცემების ექსპორტი, რეპორტების გენერატორი და დოკუმენტში მოცემული სხვა მახასიათებლები.

1.3 დაინტერესებული მხარეები (Stakeholders)

პლატფორმის მთავარი სამიზნე აუდიტორია და დაინტერესებული მხარე არის დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის თანამშრომლები, რომლებიც უშუალოდ უზრუნველყოფენ ქართული დიასპორის შესახებ ინფორმაციის შეგროვებას და მუდმივად განახლებას, დეპარტამენტის ხელმძღვანელი და სამინისტროს სხვადასხვა წარმომადგენელი რომელიც უშუალოდ ინტერესდება ძირითადი ციფრებითა და რეპორტებით.

ასევე გასათვალისწინებელია უშუალოდ დიასპორის ჩართულობაც, ერთის მხრივ პლატფორმის საშუალებით მათთან კომუნიკაციისა და ინფორმაციის მიწოდების კუთხით, ხოლო მეორეს მხრივ უშუალოდ მათი მხრიდან მონაცემების მიწოდება/განახლება და ინიციატივების) მიწოდების პროცესში ჩართულობა.

ფართო საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდებისთვის კი პლატფორმამ უნდა უზრუნველყოს დამუშავებული მონაცემების მიწოდება ინტეგრაციის საშუალებებით (API) პარტნიორ საიტებთან, როგორც არის მაგალითად GDA.GE.

1.4 დოკუმენტის შინაარსი

დოკუმენტი აღწერს CRM პლატფორმის ტექნიკური მოთხოვნებისა და სპეციფიკაციების შესახებ ინფორმაციას, რომელიც გადანაწილებულია რამოდენიმე მნიშვნელოვან თავში. ესენია:

1. ფუნქციონალური მოთხოვნების აღწერა
2. ტექნიკური მოთხოვნების აღწერა
3. პროექტის მართვის მიდგომები

2. CRM პლატფორმის ფუნქციონალური მოთხოვნები

პლატფორმის ძირითადი შინაარსი მდგომარეობს მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და გამოყენების ეფექტურ და მარტივი ფუნქციების შექმნაში, ამ ფუნქციონალს კი იყენებს რამოდენიმე განსხვავებული როლის მქონდე მომხმარებელი. შექმნი მონაცემების გამოყენებისთვის კი საჭიროა ინტეგრაციის შესაძლებლობის გათვალისწინებაც.

მივყვეთ სათითაოდ თითოეულ მოდულს.

2.1 მომხმარებლები

CRM პლატფორმა ძირითადი ფუნქციონალით არის დახურული, შიდა გამოყენების ვებ აპლიკაცია, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია სპეციალური მომხმარებლის მონაცემების გამოყენებით (მცირე გამონაკლისებით, როგორც არის **Public URL** ით მონაცემების დამატების ინიცირება, რომელიც ახსნილია 2.3.2 პუნქტში).

ავტორიზაცია / რეგისტრაცია

არსებული მომხმარებლის ავტორიზაცია

ვებ პლატფორმაში შესასვლელად და მისი ფუნქციების გამოსაყენებლად, საჭიროა ავტორიზაცია ელ ფოსტით (**user**), სისტემაში მომხმარებლის მიერ შექმნილი პაროლითა და ერთჯერადი კოდით, რომელსაც მომხმარებელი მიიღებს ელ. ფოსტაზე (ორმაგი ავტორიზაციის გამორთვა/ჩართვა შესაძლებელია ადმინისტრატორის მიერ კონკრეტულ იუზერზე).

სისტემაში მომხმარებელი ავტორიზირებული რჩება **48** საათის მანძილზე, რის შემდეგაც სისტემა ავტომატურად მოსთხოვს ხელახალ ავტორიზაციას.

ახალი მომხმარებლის რეგისტრაცია

ადმინის მქონე მომხმარებელს შეუძლია შექმნას ახალი მომხმარებელი და მიანიჭოს მას სამი როლიდან ერთ ერთი.

მომხმარებლის მონაცემები მოიცავს შემდეგ ველებს:

- ელ. ფოსტა (ველს ადევს **email** ვალიდაცია, და გამოიყენება ავტორიზაციის დროს)
- სახელი
- გვარი
- პაროლი (შექმნისას ავტომატურად გენერირებული ერთჯერადი პაროლი, რომელიც მომხმარებლის სისტემაში პირველივე შესვლისას სავალდებულოდ შეიცვლება) - პაროლის ვალიდაცია: **8** სიმბოლო, უნდა მოიცავდეს მინ **1** დიდ ასოს, მინ **1** პატარა ასოს, მინ **1** ციფრს ან სიმბოლოს
- საკურატორო რეგიონი ან ქვეყანა (ჩამოსაშლელი ველი, სადაც ირჩევ რეგიონს, რომელიც რამოდენიმე ქვეყანას აერთიანებს ან კონკრეტულ ქვეყანებს)

ტიპის მომხმარებლები:

- Admin - ადმინისტრატორი
- Editor - ედიტორი (ქვეყნის ან რეგიონის მიხედვით)
- Viewer - ვიზიტორი ნახვის უფლებით

პლატფორმის დეველოპმენტისას იქმნება როლების მატრიცაც, რომელიც თავის თავში მოიაზრებს წინასწარ განსაზღვრული 4 როლისთვის ფუნქციების მინიჭებას, რომლის პლატფორმიდანვე ცვლილება არ არის გათვალისწინებული.

როლების მატრიცა

ფუნქცია	ადმინი	ედიტორი	Viewer
ადმინში ახალი მომხმარებლის შექმნა	აქვს	არ აქვს	არ აქვს
გლობალური პარამეტრების მართვა	აქვს	არ აქვს	არ აქვს
ქვეყნების დამატება და რეგიონების ცვლილება	აქვს	არ აქვს	არ აქვს
სააპლიკაციო ფორმაში ცვლილება	აქვს	არ აქვს	არ აქვს
ახალი განაცხადის შევსება	აქვს	აქვს	არ აქვს
შევსებული ახალი განაცხადის დადასტურება	აქვს	არ აქვს	არ აქვს
განაცხადების დათვალიერება	აქვს	აქვს	აქვს
მონაცემების ექსპორტი	აქვს	აქვს	აქვს
წაშლილი ჩანაწერების ნახვა	აქვს	არ აქვს	არ აქვს
საჯარო განაცხადების ნახვა და მართვა	აქვს	აქვს მხოლოდ მის რეგიონზე	
შეტყობინებები	აქვს	აქვს	არ აქვს
კალენდარის მართვა	აქვს	აქვს მხოლოდ მის რეგიონზე	არ აქვს
კალენდრის ნახვა	აქვს	აქვს	აქვს


2.2 სამართავი პანელის ლეიაუთი

2.2.1 სამართავი პანელი ზოგადი მახასიათებლები

CRM პლატფორმა სრულად შიდა გამოყენების პლატფორმაა (მცირე გამონაკლისების გარდა), რომელიც ორიენტირებულია მონაცემების მართვის კომფორტული გარემოს შექმნაზე.

პლატფორმის ძირითადი ლეიაუთი მოიცავს შემდეგ მახასიათებლებს:

1. **side bar** მარცხენა მხარეს სადაც ჩამოთვლილი იქნება ძირითადი გვერდების დასახელებები, როგორცაა:
 - a. დეშბორდი - მთავარი ანალიტიკური გვერდი
 - b. მომხმარებლები - პლატფორმის მომხმარებლების სია
 - c. დიასპორა ორგანიზაციები - მონაცემების ცხრილი
 - d. თანამემამულეები უცხოეთში - მონაცემების ცხრილი
 - e. საჯარო განაცხადები (public URL/API)
 - f. კალენდარი
 - g. გლობალური პარამეტრები
 - i. ქვეყნების სია
 - ii. რეგიონების სია
 - iii. ანკეტები
 - h. აქტივობების ისტორია
 - i. შეტყობინებები
 - j. ნაშლილი ჩანაწერები
2. ჰედერი - სადაც ზედა მარცხენა მხარეს იქნება მომხმარებლის შესახებ ინფორმაცია, რომლის ჩამოშლის შემდეგაც იქნება:
 - a. პაროლის ცვლილების ფუნქცია
 - b. სისტემიდან გამოსვლა
3. ძირითადი გვერდი, რომელიც საიდბარში არჩეული გვერდის შესაბამის მონაცემებს და ლეიაუტს გამოიტანს



ფოტო მაგალითისთვის

2.2.2 დეშბორდი

დეშბორდზე, გამოტანილი იქნება ძირითადი ანალიტიკური მონაცემების ვიზუალიზაცია და შესაძლებელი იქნება ამ ყველა მონაცემის ფილტრაცია თარიღით. დეშბორდზე გამოტანილი იქნება შემდეგი ინფორმაცია:

1. თანამემამულეები უცხოეთში (უჩანს ყველა როლის მომხმარებელს) - ჯამური ჩანანერების რაოდენობა / რაოდენობა ფილტრში მითითებული პერიოდის მიხედვით. მაგალითისთვის: 15432 / 344, სადაც 15432 აღნიშნავს სრულ რეგისტრირებულ თანამემამულეს / ხოლო 344 აღნიშნავს მითითებულ პერიოდში (მაგალითად 5 თებერვლიდან-5 მარტამდე) დარეგისტრირებულ ჩანანერებს
2. დიასპორული გაერთიანებები (უჩანს ყველა როლის მომხმარებელს) - ჯამური ჩანანერების რაოდენობა / რაოდენობა ფილტრის მიხედვით
3. რუკა (უჩანს ყველა როლის მომხმარებელს) - სადაც მონიშნულია ყველა ის ქვეყანა სადაც არის ჩანანერი
4. ქვეყნების სია ტოპ 10 (უჩანს ყველა როლის მომხმარებელს) - სადაც ჯამური რეგისტრაციებით ყველაზე მეტი ჩანანერია
5. ქვეყნების სია ტოპ 10 (უჩანს ყველა როლის მომხმარებელს) - სადაც მითითებული პერიოდის მიხედვით ყველაზე მეტი ჩანანერია / აქვე გადამრთელი რომ იყოს პროცენტულ მაჩვენებლებზე, რომელიც ქვეყანაში დამატებული რაოდენობის ქვეყანაში არსებულ ჯამურ ჩანანერის პროცენტს გამოითვლის და შესაბამისად პროცენტით აჩვენებს რეიტინგს. მაგალითად გერმანიაში დაემატა 20 ორგანიზაცია ბოლო თვეს, იორდანიაში 2, მაგრამ იორდანიაში მანამდე არ იყო ჩანანერი ან იყო 1 ჩანანერი, პროცენტულად პირველ ადგილზე იქნება, მაშინ როდესაც გერმანიაში არსებული 100 ჩანანერს თუ დაემატა 20 ახალი ჩანანერი.
6. ქვეყნების სია ტოპ 10 (უჩანს ყველა როლის მომხმარებელს) - სადაც ყველაზე მეტი ჩანანერი ნაიშალა

7. მომხმარებლების სია (უჩანს მხოლოდ ადმინს) - მითითებულ პერიოდის მიხედვით ყველაზე მეტი ჩანანერის შექმნა
8. მომხმარებლების სია (უჩანს მხოლოდ ადმინს) - მითითებულ პერიოდში ყველაზე მეტი ჩანანერი განახლების გაკეთება

2.2.3 ცხრილები

ცხრილების, იქნება ეს დიასპორტული გაერთიანებების თუ ადმინის მომხმარებლების, ზოგადი მიდგომები, ლეიაუთი და ფუნქციონალი მოიცავს შემდეგ ძირითად მახასიათებლებს, რომელიც განხილული იქნება დიასპორტული გაერთიანებების მაგალითზე:


CUSTOMER	STATUS	BILLING	PRODUCT	CREATED DATE	ACTION
Emma Smith	Active	Auto-debit	Basic	May 05, 2024	Actions
Melody Macy	Active	Manual - Credit Card	Basic	Jul 25, 2024	Actions
Max Smith	Active	Manual - Cash	Teams Bundle	Oct 25, 2024	Actions
Sean Bean	Expiring	Manual - Paypal	Enterprise	Nov 10, 2024	Actions
Brian Cox	Expiring	Auto-debit	Basic	Aug 19, 2024	Actions

1. ცხრილების გვერდზე არის ლილაკი ახალი ჩანანერის შექმნა
2. ცხრილში გამოტანილია მხოლოდ საჭირო სვეტები/ველები, რომლითაც მარტივია გაფილტრვა და ნავიგაცია, სხვა დანარჩენი ინფორმაციის სანახავად საჭიროა დეტალებში შესვლა
3. სისტემაში, ნებისმიერ ჩანანერს აქვს შექმნის თარიღი და განახლების თარიღი, რომელიც მოიცავს ყველა ცვლილებას და ინახება აქტივობების გვერდზე, ხოლო ცხრილში გამოდის ბოლო განახლების/ცვლილების თარიღი. ჩანანერებს ასევე აქვს ორი სავალდებულო ველი: ვის მიერ არის შექმნილი და ბოლოს ვინ განაახლა.
4. ცხრილის ყველა სვეტს აქვს თავში შესაბამისი ფილტრი/ძიება და ასევე სორტირება. აღნიშნული ფუნქციონალი გეხმარება რამოდენიმე პარამეტრით შეძლოს საჭირო მონაცემების გაფილტრვა. მაგალითად კონკრეტული მომხმარებელი, დიასპორტული გაერთიანებები და რამოდენიმე ქვეყანა და გაფილტრო მონაცემები.
5. სვეტის თავში მითითებულ ფილტრებში გასათვალისწინებელია, სვეტში მოყვანილი მონაცემების ტიპი, მაგალითად თუ ეს არის შექმნის და ბოლოს განახლების სვეტები, სადაც არის თარიღები სვეტის თავში უნდა იყოს კალენდარი და საიდან სადამდე მოსანიშნი, თუ ეს არის ქვეყნების, მომხმარებლების, სტატუსების ან მსგავსი წინასწარ განწერილი ველების სია,


უნდა იყოს ჩამონათვალი ჩეკ ბოქსით, რამოდენიმეს მონიშვნის შესაძლებლობით და ა.შ.

Id	FullName	CreateDate	IsVerified	IsNew	TotalTransportsCount	Last30DaysOrdersCount	TotalOrdersCount	LogisticManager	ContactPerson	ContactPersonPhoneNumber	ContactPersonEmail
		დან შდე	გთხოვთ აირჩიოთ	გთხოვთ აირჩიოთ							

- ცხრილის თავში უნდა იყოს ძიების ველი, რომელიც უნდა ეძებდეს ყველა ჩანაწერში ნებისმიერ სვეტსა თუ ბაზაში მითითებულ მონაცემში. არ აქვს მნიშვნელობა არის თუ არა ის კონკრეტული სიტყვა ცხრილში ნახსენები. აღნიშნული ძიების ველი უნდა იყოს ე.წ. **Live search** ფუნქციონალით და 3 სიმბოლოს მითითების შემდეგ უნდა იწყებდეს ძიებას და შემოთავაზებების გაკეთებას ან ცხრილში ლაივ რეჟიმში გაფილტრვას



- ცხრილის თითოეულ ჩანაწერს აქვს მოსანიშნი **check box** ები. შესაძლებელია მონიშნო ერთი კონკრეტული, რამოდენიმე ან ფილტრის/ძიების შედეგად გაფილტრული მონაცემების ყველას ერთად მონიშვნა. მონაცემების მონიშვნის მიზანი არის მხოლოდ მონიშნულზე გავრცელდეს შემდეგი ფუნქციები, როგორც არის:
 - ელ. ფოსტის დაგზავნა - მხოლოდ მონიშნულთან გაგზავნა, თუ არ მონიშნავ არაფერს გაიგზავნება ყველასთან
 - ექსპორტი ექსელში - მხოლოდ მონიშნულის ექსპორტი, თუ არ მონიშნავ არაფერს დაექსპორტება სრული ცხრილი
 ღილაკები განთავსებულია ცხრილის თავში, შემდეგი თანმიმდევრობით, ზედა მარცხენა მხარეს ძიების ფუნქციონალი. ზედა მარჯვენა მხარეს ექსპორტი ექსელში, იმელების დაგზავნა, ახალი ჩანაწერის დამატება



- დეტალებში შესასვლელად საჭიროა დააჭირო ორგანიზაციის დასახელებას ან **Action** ღილაკებიდან დეტალების ნახვის ფუნქციით
- თითოეულ სვეტს აქვს პირველ სვეტში **action** ღილაკები: დეტალების ნახვა, რედაქტირება, წაშლა

10. დეტალების ნახვით გადადისარ დეტალურ გვერდზე, სადაც მონაცემები თემატურად ერთად არის დალაგებული ლამაზ ბოქსებში. დეტალების გვერდიდანაც არის შესაძლებელი ჩანაწერის რედაქტირება

View Subscriptions
Home - Subscription

Product Details [Update Product](#)

Billing Address:

Bill to: smith@kpmg.com Subscribed Product: Basic Bundle
 Customer Name: Emma Smith Subscription Fees: \$149.99 / Year
 Address: Floor 10, 101 Avenue of the Light Square, New York, NY, 10050. Billing method: Annually
 Phone: (555) 555-1234 Currency: USD - US Dollar

Subscribed Products:

PRODUCT	SUBSCRIPTION ID	QTY	TOTAL	ACTIONS
Basic Bundle Basic yearly bundle	sub_4567_8765	1	\$149.99 / Year	Edit

Summary
Sean Bean
sean@dellito.com

Product details
Basic Bundle \$149.99 / Year

Payment Details
Mastercard Expires Dec 2024

Subscription Details
Subscription ID: sub_4567_8765
Started: [Customize](#)
Status: Active

11. რედაქტირებით გადადისარ გვერდზე სადაც ყველა ველი არის რედაქტირებადი, და საჭირო ველების შევსების შემდეგ, შენახვა ლილაკზე დაჭერით მოხდება ცვლილებების ასახვა

Advanced Options

Custom fields

FIELD NAME	FIELD VALUE	REMOVE
<input type="text"/>	<input type="text"/>	Remove

[Add custom field](#)

Invoice footer

Usage treshold
 Bill immediately if usage treshold reaches 80%.

Pro-rate billing

12. დეტალურ გვერდზე მოცემულია ამ ჩანაწერზე მითითებული ყველა ინფორმაცია, იქნება ეს შევსებული ველები, ატვირთული დოკუმენტები თუ სხვა. ასევე დეტალურ გვერდზე მითითებულია ამ ჩანაწერზე გაკეთებული ცვლილებების ისტორია. სიაში თითოეული ცვლილება მოიცავს შემდეგ პარამეტრებს:

- a. როდის მოხდა ცვლილება საათის დონეზე მითითებული
 - b. რა ქმედება მოხდა: დამატება, ადმინის მიერ დადასტურება, არსებულის რედაქტირება, წაშლა
 - c. ვინ მოახდინა ეს ცვლილება
 - d. ცვლილების დროს რა იყო და რით ჩანაცვლა ინფორმაციის ნახვა უნდა იყოს შესაძლებელი.
 - e. მსგავსი “რა იყო და რა გახდა” არ სჭირდება ახალი ჩანაწერის, ცვლილების დადასტურების და წაშლის ქმედებებს
13. დეტალური გვერდის დახურვის შემდეგ, ბრუნდები ცხრილის იმ გვერდზე და იმ ჩანაწერთან სადაც იდექი დეტალებში შესვლამდე, თავიდან რომ არ მოგინოს სქროლი

2.3 ფუნქციები და პროცესები

CRM პლატფორმის სამართავი პანელი მოიცავს მონაცემების დამატების, განახლების და მართვის მიმართულებით შექმნილ შემდეგ ფუნქციონალებს და პროცესებს, რომელიც სათითაოდ არის ასახული დოკუმენტში.

2.3.1 ახალი განაცხადის დამატება ადმინიდან

ადმინიდან ახალი განაცხადის დამატები ორი გზა არსებობს: 1. ადმინიდან სათითაოდ განაცხადების დამატება და 2. ექსელით მონაცემების შეტვირთვა.

1. ერთ ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და ხშირად გამოყენებადი არის სამართავ პანელში ედიტორის ან ადმინისტრატორის მიერ შექმნილი სათითაო განაცხადი.

ახალი განაცხადის შესაქმნელად

1. მომხმარებელი შედის დიასპორის გვერდზე
2. აჭერს ახალი განაცხადის შექმნის ლილასს
3. ირჩევს წინასწარ გამზადებული ანკეტებიდან ერთ ერთს
4. იწყებს ველების შევსებას ანკეტის შესაბამისად
5. შევსებული განაცხადი ცხრილში ვარდება სტატუსი Pending ით
6. ადმინისტრატორი ნახულობს განაცხადს და მოდერირების ან რედაქტირების შემდეგ ადასტურებს ცვლილებას, რის შემდეგაც აისახება განაცხა ბაზებში სტატუსით Approved.

ადმინისტრატორის მიერ შევსებული განაცხადიც იმეორებს ინდენტურ პროცესს, და საჭიროებს თუნდაც მის მიერ დადასტურებას.

2. ჩანაწერების ექსელით ატვირთვა

ადმინიდან შესაძლებელია მონაცემების დამატება ექსელით, ამისთვის ედიტორი ან ადმინისტრატორი, **Bulk Upload** ფუნქციის გვერდიდან გადმოწერს წინასწარ გამზადებულ ექსელის ცხრილს, შეავსებს მის ხელთ არსებულ მონაცემებს ისე რომ არ დაარღვევს სვეტების რიგითობას და ფორმატს, ყველა ასარჩევ ველს მიუთითებს შესაბამის ID -ს რომელიც გლობალურ პარამეტრებშია განწერილი და ატვირთავს დამატების შესაბამის ველში.

სისტემა დაიწყებს ექსელის დამუშავების პროცესს, ექსელის სვეტების შესაბამისად წარდგენილ მონაცემებს შეავსებს შესაბამის ველებში, ასარჩევ ველებს იდენტიფიცირებას მოახდენს წარდგენილი ID ის მიხედვით და მონიშნავს შესაბამის ასარჩევ ველს, და რაც მთავარია სტადნარტულად შეამონმებს უნიკალურობის დასაცავად ველებს.

სისტემის მიერ დამუშავებული ექსელის შემდეგ, გამოდის შედეგის ველი, სადაც დეტალურად უნდა იყოს ჩაშლილი, რამდენი ჩანაწერი მიიღო სისტემამ, რამდენი დაამატა წარმატებით, რამდენ განაცხადში იყო მონაცემების დუბლირების (უნიკალურობის შემონმებისას) მაღალი ალბათობა და იქვე უნდა იყოს გამოტანილი სია რომელი დამატებული ახალი განაცხადი რომელ განაცხადთან არის დუბლირების მაღალი ალბათობით. ასევე უნდა გამოვიდეს ექსელის რომელი სვეტის მონაცემების შეტვირთვა ვერ მოხერხდა, რომ შესაბამისად დამუშავდეს ხელით.

2.3.2 ახალი განაცხადის დამატება Public URL-იდან ან API ინტეგრაციით.

CRM მოდული საშუალებას იძლევა შექმნა Public URL რომლის გამოყენებითაც ნებისმიერ ადამიანს შეუძლია მარტივი ემაილ ვალიდაციით შეავსოს განაცხადი საკუთარ თავზე ან საკუთარ დიასპორტულ გაერთიანებაზე და მოახდინოს ინიცირება მის შესახებ ინფორმაციის განთავსების შესახებ.

მსგავსი Public URL შესაძლებელია განთავსდეს ბანერის სახით ნებისმიერ პარტნიორ საიტებზე, ან ბმულის სახით სოციალურ ქსელებში, ან აღნიშნულ ბმულისთვის დაგენერირდეს QR კოდი და განთავსდეს სარეკლამო მასალებზე (ვიზიტკა, ბანერი, ფლაერი თუ სხვა) და გავრცელდეს სხვადასხვა ღონისძიებებზე. ეს კი დიასპორასთან ურთიერთობის სამსახურს საშუალებას მისცემს მათ შესახებ მეტად გავრცელდეს ინფორმაცია და დიასპორის მეტმა წარმომადგენელმა იპოვოს საკუთარი თავი CRM პლატფორმაზე (GDA.GE-ს ან სხვა პარტნიორი საიტების დახმარებით) და ჩაერთოს ინფორმაციის გაცვლისა და კომუნიკაციის ამ ჯაჭვში.

Public URL ის მუშაობის პროცესი:

1. სამართავ პანელში ახალი განაცხადის შევსების ფუნქციონალს აქვს Public URL ის მიღების საშუალება, რომელიც მუდმივად უნიკალურია.
2. Public URL-ის გამოყენებით იხსნება მარტივი ლენდიგ გვერდი რომელიც მოიცავს:
 - a. გვერდის დასახელება, მაგალითად: გახდი ქართული დიასპორის წევრი
 - b. დეტალურ აღწერას, თუ რა გვერდია, ვინ უნდა შეავსოს და რატომ უნდა გაერთიანდეს (ბენეფიტები) და რაში გამოიყენება მისი მონაცემები (მათ შორის პერსონალური). ასევე ნახსენები უნდა იყოს Privacy Policy

c. უნდა იყოს CTA (Call To action) ლილაკი: დანყება

3. განაცხადის შევსების დანყებისას ვიზიტორი უთითებს მის სახელს, გვარს და ელ. ფოსტას და აჭერს ერთჯერადი კოდის მიღების ლილაკს. იქვე უნდა გამოვიდეს ინსტრუქცია, სადაც ეწერება რომ 30 წამის მანძილზე მიიღებენ ერთჯერად კოდს მითითებულ ელ ფოსტაზე, რომელიც უნდა ჩანერინ იმავე გვერდზე შესაბამის ველში და დაადასტურონ ელ. ფოსტის ვალიდაცია
4. ელ ფოსტის ვალიდაციის შემდეგ გაიხსნება Onboarding პროცესი სადაც ახსნილია რომელი სააპლიკაციო ფორმა რომელი ტიპის დიასპორულ გაერთიანებას ერგება და ინდივიდზე რომელი უნდა შეავსონ.
5. ირჩევენ შესაბამის ანკეტას და ავსებენ განაცხადს, სავალდებულო ველების გათვალისწინებით
6. განაცხადი შემოდის სისტემაში სპეციალურ გვერდზე: განაცხადები
7. საკურაციო ქვეყნის მიხედვით ედიტორებს გამოუჩნდებათ მსგავსი განაცხადები, მათ მიერ მოხდება გადამოწმება ველების, საჭიროების შემთხვევაში მხოდება დაკავშირება საკონტაქტო პირთან და მოხდება დადასტურება, რის შემდეგაც განაცხადი გადავა დისპორტორის ცხრილებში Pending სტატუსით და განაცხადს მიეთითება ის ედიტორი თუ ადმინისტრატორი, ხოლო აქტივობების ველში მითითებული იქნება პირველ აქტივობად Public Application
8. ადმინის დადსტურების შემდეგ განაცხადი გადავა approved სტატუსში.

სისტემა საშუალებას იძლევა პარტნიორ ორგანიზაციებს საკუთარ პლატფორმაზე სააპლიკაციო ფორმების დასაინტეგრირებლად მიანოდოს API მეთოდები. აღნიშნული მეთოდი იმეორებს Public URL ის პროცესს სრულად, ერთადერთი განსხვავება არის ის რომ სისტემაში გამოჩნდება რომ Public application ის მაგივრად ეს განაცხადი შეივსო პირობითად GDA.GE დან.

2.3.3 მონაცემების უნიკალურობის დაცვა

მსგავსი CRM პლატფორმისთვის მნიშვნელოვანია მონაცემების უნიკალურობის შენარჩუნება, რომ ერთიდაიგივე დიასპორულ გაერთიანებაზე არ არსებობდეს ორი ჩანაწერი.

ამ მიზნისთვის სისტემა ყოველი ახალი განაცხადის შევსებისას რამოდენიმე ველზე შეამოწმებს ბაზაში არსებობს თუ არა მსგავსი მონაცემი სხვა განაცხადში, ეს ველები არის შემდეგი:

1. გაერთიანების დასახელება
2. თამამემამულის სახელი და გვარი
3. ელ ფოსტა
4. ტელეფონის ნომერი

აღნიშნული მონაცემებით თუ იპოვა მსგავსი ჩანაწერები, დამატების და რედაქტირების გვერდზე მომხმარებელი ნახულობს შეტყობინებას, რომ ამ მონაცემებით სხვა ჩანაწერია მოძებნილი. მომხმარებელი შეძლებს შეამოწმოს არსებული მსგავსება არის თანამემამულის/გაერთიანების დუბლირება თუ არის დამთხვევა და შესაბამისად მიიღებს გადაწყვეტილებას, ან დუბლირებულ განაცხადს წაშლის და მონაცემებს გააერთიანებს, ან გააგრძელებს ახალი ჩანაწერის განთავსებას.

2.3.4 მონაცემების განახლება

CRM პლატფორმა არსებული მონაცემების განახლების რამოდენიმე საშუალებას სთავაზობს მომხმარებელს, ესენია ადმინიდან განახლება, გაერთიანებასთან/თანამემამულესთან განახლების თხოვნით ინფორმაციის ავტომატური დაგზავნა და შესაბამისი შეტყობინებების და ალერტების სისტემა.

ორგანიზაციის ჩანაწერებზე მუდმივად განახლებული და თანამედროვე ინფორმაციის შენარჩუნებისთვის, სისტემაში ჩაშენებული იქნება ალერტების მოდული, რომელიც თითოეულ ჩანაწერზე წინასწარ მითითებულ ვადაში (მაგალითად 1 წელინაღმის ერთხელ) შეამოწმებს მოხდა თუ არა განახლება და ცხრილში მიანიჭებს ყვითელ და წითელ ალერტებს. თანამემამულის ჩანაწერებზე არ ხდება მონაცემების ხანდაზმულობის შემოწმება.

ყვითელი ალერტი მიენიჭება ვადის გასვლამდე 1 თვით ადრე, ხოლო წითელი ალერტი მიენიჭება ვადის გასვლამდე 1 კვირით ადრე. მომხმარებელს ცხრილში მუდმივად შექმნება გაფილტროს ან დაასორტიროს მსგავსი ალერტებით ჩანაწერები და მარტივად შეძლებს საჭირო განაცხადებზე ფოკუსირებას.

ყვითელი და წითელი ალერტის მქონე ჩანაწერებზე ინფორმაციის გამოტანა მოხდება დეშობრდზე, რას საშუალებას მისცემს ადმინისტრატორებს აკონტროლონ ვადაგადაცილებული ჩანაწერების რაოდენობა და დინამიკა.

მითითებული ვადებში, ყვითელი სტატუსის მინიჭებისთანავე (ვადის გასვლამდე 1 თვით ადრე) გაერთიანებებს ავტომატურად მიუვა შეტყობინება ელ ფოსტაზე. სადაც იქნება ინფორმაცია ვისგან მიუვიდათ, რატომ მიუვიდათ და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია რატომ უნდა განახლონ. შეტყობინებას ექნება ლილაკი მონაცემების მისაღებად და შემდეგ სანახავად, რომლის პროცესიც შემდეგნაირად მუშაობს:

1. ლილაკზე დაჭერით მას გაეგზავნება დროებითი ბმული ელფოსტაზე, რომლის ვადაც არის 12 საათი. 12 საათის შემდეგ ბმული არააქტიური გახდება, რის შესახებაც მომხმარებელს უნდა ქონდეს ინფორმაცია ორივე შეტყობინებაში. აღნიშნული ვადა ემსახურება უსაფრთხოების საკითხს.
2. მიღებულ ელ ფოსტის საშუალებით მომხმარებელი შეძლებს გადავიდეს დროებით გვერდზე, გაეცნოს მის შესახებ ინფორმაციას, გაეცნოს პირობებს თუ სად ჩანს აღნიშნული ინფორმაცია და აირჩიოს სამი გზიდან ერთ ერთი:
 - a. დააინიციროს კონკრეტული ველების ცვლილება - > შესაბამის ველს მიუთითოს მისი განახლებული რედაქცია, ან მოუნიშნოს **Public/privat** პარამეტრები.
 - b. დაადასტუროს პირდაპირ ყველა ველის სისწორე
 - c. დააინიციროს აღნიშნული ჩანაწერის ნაშლა
3. თანამემამულის/გაერთიანების მიერ შემოსული ცვლილებები ცხრილში აისახება პარამეტრით **Updated by themself**, რომლის დადასტურებაც მოხდება ჯერ ედიტორის და შემდეგ ადმინისტრატორის, ან პირდაპირ ადმინისტრატორის მიერ

4. თანამემამულის/გაერთიანების მიერ შემოსული დასტური მონაცემებზე, პირდაპირ აისახება ჩანაწერებზე და შეეცვლება **Update date**
5. თანამემამულის/გაერთიანების ინიციატივა ჩანაწერების ნაშლაზე ცხრილში აისახება პარამეტრით **deleted by themself**, რომლის დადასტურებაც მოხდება ჯერ ედიტორის და შემდეგ ადმინისტრატორის, ან პირდაპირ ადმინისტრატორის მიერ და შემდეგ გადავა ჩანაწერი ნაშლი ჩანაწერებში.

2.3.5 შეტყობინებების მართვა

დიასპორის ცხრილიდან შესაძლებელია ფილტრით და ძიებით მიღებულ შედეგებზე, კონკრეტულ ჩანაწერებთან ან ყველასთან გააგზავნო იმიელ შეტყობინება. ეს პროცესი მუშაობს შემდეგნაირად:

1. ცხრილიდან ნიშნავ სასურველ ადრესატებს ჩეკ ბოქსით, თუ არ მონიშნე არავინ გაიგზავნება ყველასთან
2. შეტყობინების გაგზავნა შეუძლია ადმინს ყველასთან, ხოლო ედიტორის მის საკურატორო ქვეყნების დიასპორასთან
3. შეტყობინების გაგზავნის ლილაკით ამოდის პოპაპი, სადაც ადმინის მომხმარებელს უნევს შემდეგი ველების შევსება:
 - a. **Subject**
 - b. **body** ტექსტი
 - c. ლილაკის **URL**
4. სისტემაში ელ ფოსტის ვიზუალი იქნება წინასწარ შექმნილი, და ნებისმიერი ტექსტი და ლილაკი (**Optional**) აღნიშნული ვიზუალით (**HTML**) გაიგზავნება
5. გაგზავნის ლილაკზე დადასტურებით, სისტემა დაითვლის რამდენ ადრესატს ეგზავნება და მომხმარებელი კიდევ ერთხელ დაადასტურებს გაგზავნას.
6. გაგზავნილი შეტყობინებები შეინახება შეტყობინებების ცხრილში, მისი შიგთავსით და ასევე რამდენთან გაიგზავნა და რამდენს მოუვიდა (თავისი მეილ ლისტით, რომ გადამოწმება იყოს შესაძლებელი).
7. ადმინისტრატორის მიერ ელ. ფოსტის გაგზავნისას ის ირჩევს მისი პირადი ელ ფოსტიდან გაიგზავნოს თუ გაიგზავნოს საერთო ელ. ფოსტიდან, ხოლო ედიტორის მიერ გაგზავნისას იგზავნება მხოლოდ მისი პირადი ელ ფოსტიდან.
8. შეტყობინებების გაგზავნის მოთხოვნა საჭიროებს ადმინისტრატორის მიერ დადასტურებას.

2.3.6 მონაცემების გაზიარება სხვა პლატფორმებისთვის

პლატფორმას საშუალება აქვს API მეთოდებით მიაწოდოს პარტნიორ ვებსაიტებს თანამემამულეებისა და გაერთიანებების შესახებ სია და წინასწარ განსაზღვრული ინფორმაცია.

საინტეგრაციო სერვისების და ავტორიზაციის მონაცემების მისაღებად საჭიროა დეველოპერების მიერ წინასწარ შექმნილი სერვისების გაზიარება და სისტემური ადმინისტრატორის მიერ ავტორიზაციისთვის საჭირო პარამეტრების შექმნა და გაზიარება.

API ინტეგრაციის თითოეულ ჩანაწერზე გაზიარდება მხოლოდ ის ინფორმაცია, რომელიც ჩანაწერზე არის მონიშნული როგორც **Public**. აღნიშნული პარამეტრე თითოეულ ჩანაწერს ეთითება სააპლიკაციო ფორმის შევსებისას ავტომატურად.

ხოლო სააპლიკაციო ფორმებზე თითოეულ ველზე გლობალური პარამეტრებიდან არის განსაზღვრული რომელი ველი არის **Public** და რომელი **Privat**.

შესაძლებელია თითოეულ ჩანაწერზე რედაქტირებისას განესაზღვროს რომელი ველი იყოს დამატებით **Public** ან პირიქით რომელი ველი იყოს მხოლოდ ამ ჩანაწერზე განსხვავებული და იყოს **privat**.

თანამემამულეების და გაერთიანებების მიერ, საკუთარი მონაცემების დადასტურებისას ასევე შეუძლიათ მიუთითოთ რომელი ველი დახურონ ღია წვდომისგან ან პირიქით რომელი ველი გახსნან საჯაროდ.

2.3.7 კალენდარი

კალენდრის ფუნქციონალი გათვლილია დიასპორის მიერ დაგეგმილი მნიშვნელოვანი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის შესაგროვებლად, რომელიც მოიცავს შემდეგ ველებს:

1. დასახელება
2. აღწერა
3. მისამართი, ქალაქი, ქვეყანა
4. პასუხიშემცემელი პირისა და ხელმძღვანელის მონიშვნით (თანამემამულეების ცხრილიდან), შესაბამისი საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით
5. მოსანიშნვი ორგანიზაცია
6. URL
7. შიდა მოხმარების კომენტარი

ღონისძიებებზე საჭირო ინფორმაციის დროულად შესაგროვებლად, პლატფორმა შესაძლებლობას იძლევა **Public URL** ის ფუნქციის საშუალებით მიიღოს დიასპორული გაერთიანებების მიერ შევსებული დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია.

შეგროვებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის გაზიარება შესაძლებელია **GDA.GE**-ზე და სხვა პარტნიორ საიტებზე **API** მეთოდის გამოყენებით.

ასევე **CRM** მოდულს უნდა გააჩნდეს **API** მეთოდი, რომელიც საშუალებას მისცემს **GDA.GE**-ს ტექნიკურ გუნდს დაინტეგრიროს და მათი **CMS** -იდან მოხდეს შესაბამის ორგანიზაციის არჩევა და მათზე ღონისძიების ჩანერა **CRM** პლატფორმაში.

API დან და Public URL იდან შემოსული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია შემოდის Pending სტატუსით, რომლის დადასტურებაც ხდება ედიტორის ან ადმინისტრატორის მიერ.

2.3.8 გლობალური პარამეტრები

გლობალურ პარამეტრებზე წვდომა აქვს მხოლოდ ადმინს, რომელსაც შეუძლია დეველოპერების ჩართვის გარეშე მართოს შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხები:

1. ანკეტის (თანამემამულეების/გაერთიანებების) წინასწარ შედგენილ სტრუქტურაში და ველებში ცვლილებების შეტანა, როგორცაა:
 - a. კონკრეტულ ველებზე სავალდებულო/არასავალდებულო ველის მითითება
 - b. კონკრეტულ ველებზე **Default** საჯარო მონაცემია (რაც გავა პარტნიორ საიტებზე) თუ დახურული მონაცემია (რაც მხოლოდ შდა გამოყენების იქნება)
 - c. კონკრეტულ ველებზე მითითება რომელ ანკეტაში გამოჩნდეს ესა თუ ის ველი
 - d. შექმნათ ახალი ანკეტა და შესაბამისად თითოეული ველზე მიუთითოს ამ ახალ ანკეტაში რა ველები უნდა გამოჩნდეს
 - e. ანკეტის ისეთ ველებში სადაც არის ჩამონათვალი, შესაძლებელი იყოს მისი სიის მართვა. მსგავსი ველებია:
 - i. ქვეყნების სია
 - ii. ორგანიზაციის ტიპი სადაც ირჩევ ერთ ერთს ჩამონათვალიდან: დიასპორული, საკვირაო სკოლა, ენის კურსი, სამრევლო, ახალგაზდრული, სპორტული, მედია ჯგუფი, კომერციული/ბიზნესი, საქველმოქმედო, ტურიზმი
 - iii. საგნების ჩამონათვალი
 - iv. სამინისტროს საგრანტო პროგრამის გამარჯვებული - სადაც გვაქვს „დიასპორული ინიციატივების მხარდაჭერა“, „უცხოეთში მოქმედი ქართული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლების მხარდაჭერა“ და „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“
 - v. ნებისმიერი ასარჩევი ველი ანკეტაში აქედან იყოს მართვადი
 - vi. 5 დამატებითი ველების დამატება ბაზის სტრუქტურაში, რომელზეც შესაძლებელი იქნება სახელის შეცვლა იქნება შესაძლებელი.
2. ქვეყნები და რეგიონების მართვა. სადაც ქვეყნების სია ისედაც გვაქვს დინამიური, რომელსაც გამოვიყენებთ ანკეტებში როგორც მოქალაქეობის მისათითებლად, ასევე საცხოვრებლის მისათითებლად. იგივე სია შეგვიძლია გამოვიყენოთ საკურატორო რეგიონების მოსანიშნად.

ქვეყნების მარტივად სამართავად სისტემას ემატება რეგიონები, და ეს ქვეყნები ერთიანდება პირობითი სახელების ქვეშ ანუ რეგიონების ქვეშ. მაგალითად მომხმარებლის დამატებისას რომლის საკურატო ქვეყნები არის პირობითად დსთ ს ქვეყნები, მოძებნით “დსთ”-ს და ერთის მონიშვნით წინასწარ გაერთიანებული ქვეყნების სია მიეზმევა მომხმარებელს. ასეთი რეგიონები შეიძლება იყოს: დას. და აღმოს. ევროპა, ცენტრალური, აღმოსავლეთ აზია, კავკასია და ა.შ.

2.4 მონაცემების დამატების ანკეტები

ანკეტის შევსება არის მთავარი გზა ბაზაში მონაცემების შესავსებად. ანკეტის შევსება ხდება ადმინიდან მომხმარებლის მხრიდან ახალი ჩანაწერის შექმნისას, ასევე **Public URL** ით და **API** ინტეგრაციის გამოყენებისას.

თანამემამულეების და გაერთიანებების ცხრილების თითოეული ველი და სტრუქტურა არის შედგენილი დეველოპერების მიერ და მასში ცვლილებები (ახალი ველის დამატება ან წაშლა) ხდება დეველოპერების მიერვე. თუმცა შესაძლებელია წინასწარ გამზადებული გაერთიანებების 5 ანკეტის გარდა, ადმინიდან მოხდეს დამატებითი ანკეტების შექმნა, რომელშიც გლობალური პარამეტრებიდან გაერთიანდება ბაზის სტრუქტურაში არსებული ველები.

გლობალური პარამეტრებიდან ხდება ანკეტებში ველებზე შემდეგი ცვლილებების შეტანა:

1. კონკრეტულ ანკეტაში (ან ახალ შექმნილ ანკეტაში) რომელი ველები გამოჩნდეს
2. არის თუ არა კონკრეტული ველი სავალდებულო ველი
3. არის **Public** თუ **Private** კონფიგურაციის

სააპლიკაციო ფორმები და ველების მატრიცა სამუშაო ფორმატში მოცემულია ანკეტების ცხრილში, მიყევით ბმულს: [+ ანკეტების სტრუქტურა](#)

თანამემამულის ანკეტა

სვეტების განმარტება

- **გამოჩნდეს ცხრილში** აღნიშნული ველი გულისხმობს, სამართავ პანელში თანამემამულეების ცხრილში რომელი ველების მონაცემები უნდა გამოივიდეს სვეტებში. კი პასუხი ნიშნავს რომ უნდა გამოვიდეს სვეტად, არა პასუხი გულისხმობს რომ ის ველი გამოჩნდება მხოლოდ დეტალებში და ცხრილში არ იქნება სვეტად.
- **გაზიარდეს GDA-ზე** აღნიშნული ველი გულისხმობს, **API** ინტეგრაციით **GDA** -ზე ან სხვა პარტნიორ პორტალზე კონკრეტულ თანამემამულეზე რა ინფორმაცია უნდა გაზიარდეს. კი ნიშნავს რომ ველი გამოჩნდება, არა ნიშნავს რომ არ გამოჩნდება და **API** არ დააბრუნებს აღნიშნულ მონაცემებს
- **ადმინში სავალდებულოა** აღნიშნული ველი გულისხმობს, სამართავ პანელში ედიტორის ან ადმინის მიერ ახალი ჩანაწერის შექმნის დროს, რომელი ველი უნდა გამოჩნდეს და რომელი ველი უნდა იყოს სავალდებულო. კი ნიშნავს რომ გამოჩნდება როგორც სავალდებულო ველი და მისი შევსება იქნება წინაპირობა განაცხადის შექმნისთვის, არა ნიშნავს რომ ველი გამოჩნდება მაგრამ სავალდებულო არ იქნება, ხოლო "-" ნიშნავს რომ ველი არ გამოჩნდება ჩანაწერის შექმნის გვერდზე
- **ანკეტაში არის თუ არა** აღნიშნული ველი გულისხმობს, ეს ველი უნდა იყოს თუ არა **PUBLIC URL** ით **API** ინტეგრაციით შექმნილ ანკეტაში. კი ნიშნავს რომ გამოჩნდება

როგორც სავალდებულო ველი და მისი შეესება იქნება წინაპირობა განაცხადის შექმნისთვის, არა ნიშნავს რომ ველი გამოჩნდება მაგრამ სავალდებულო არ იქნება, ხოლო "-" ნიშნავს რომ ველი არ გამოჩნდება ჩანაწერის შექმნის გვერდზე.

	ველის ტიპი	გამოჩნდ ეს ცხრილშ ი	გაზიარდ ეს GDA-ზე	ადმინში სავალდე ბულოა	ანკეტაში სავალდებუ ლოა თუ არა
ჩანაწერის შექმნის თარიღი		არა	არა	კი	-
ჩანაწერის განახლების თარიღი		არა	არა	კი	-
ჩანაწერის ნაშლის თარიღი		არა	არა	კი	-
სახელი და გვარი	ინფუთ ველი	კი	კი	კი	კი
ქვეყანა	ჩამონათვალი (ქვეყნების სია)	კი	კი	კი	კი
ქალაქი	ინფუთ ველი	კი	კი	კი	კი
პროფესია/საქმიანობა	ინფუთ ველი	კი	არა	არა	არა
სამუშაო ადგილი	ინფუთ ველი	კი	არა	არა	არა
თანამემამულის სტატუსი	ჩამონათვალი (კი/არა) სტატუსის ფლობის შემთხვევაში შევიყვანეთ შემდეგ მონაცემებს: სააგენტოს მიერ მინიჭებული პირადი ნომერი; მონმობის ნომერი; მონმობის გაცემის თარიღი და მოქმედების ვადა; მონმობის გამცემი ორგანოს დასახელება;	კი	არა	არა	არა
დიასპორის საპატიო წარმომადგენელი	ჩამონათვალი (კი/არა) დიასპორის საპატიო წარმომადგენლის სტატუსის მინიჭების თარიღი და მოქმედების ვადა; სტატუსის გავრცელების ქვეყანა, ქალაქი / დაფარვის არეალი (საპატიო წარმომადგენელი შეიძლება დაინიშნოს სხვა სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე ან მის	კი	კი	არა	არა

	რომელიმე ნაწილში ან რამდენიმე სახელმწიფოში);				
სამინისტროს საგრანტო პროგრამის გამარჯვებული	ჩამონათვალი (კი/არა) კის შემთხვევაში(გვაქვს სამი საგრანტო პროგრამა: „დიასპორული ინიციატივების მხარდაჭერა“, „უცხოეთში მოქმედი ქართული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლების მხარდაჭერა“ და „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“. აქ იყოს არჩევითი ფუნქცია. ასევე, სამინისტროს მიერ ახალი პროგრამის ან პროექტის ინ იცირების შემთხვევაში შესაძლებელი იყოს პროგრამის დასახელების დამატება); თარიღი (წელი); გამარჯვებული პროექტის დასახელება; საგრანტო თანხის ოდენობა.	კი	არა	არა	არა
დაბადების ადგილი	ინფუთ ველი	არა	არა	არა	არა
მოქალაქეობა	ჩამონათვალი მულტი ჩეკით (ქვეყნების სია)	არა	არა	არა	არა
სურათი	Upload file	არა	არა	არა	არა
კავშირი დიასპორულ ორგანიზაციასთან	მოსანიშნი (კი/არა) კის შემთხვევაში შესაძლებელი იყოს დიასპორული ორგანიზაციის მონიშვნა	კი	არა	არა	არა
მიღებული ვილდოები	სათითაოდ დამატება: დასახელება, მიღების თარიღი და გამცემი უწყება	არა	არა	არა	არა
მობილურის ნომერი	ინფუთ ველი - ციფრების ვალიდაცია	არა	არა	კი	არა
ელ ფოსტა	ინფუთ ველი - ელ ფოსტის ვალიდაცია	არა	არა	კი	კი
ვებ გვერდი	ინფუთ ველი	არა	არა	არა	არა
Facebook	ინფუთ ველი	არა	არა	არა	არა

Twitter	ინფუთ ველი	არა	არა	არა	არა
linkedin	ინფუთ ველი	არა	არა	არა	არა
სხვა ინფორმაცია	პარაგრაფ ველი	არა	არა	არა	არა

გაერთიანების ანკეტა

სვეტების განმარტება

- **გამოჩნდეს ცხრილში** აღნიშნული ველი გულისხმობს, სამართავ პანელში გაერთიანების ცხრილში რომელი ველების მონაცემები უნდა გამოვიდეს სვეტებში. კი პასუხი ნიშნავს რომ უნდა გამოვიდეს სვეტად, არა პასუხი გულისხმობს რომ ის ველი გამოჩნდება მხოლოდ დეტალებში და ცხრილში არ იქნება სვეტად.
- **გაზიარდეს GDA-ზე** აღნიშნული ველი გულისხმობს, API ინტეგრაციით GDA -ზე ან სხვა პარტნიორ პორტალზე კონკრეტულ გაერთიანებაზე რა ინფორმაცია უნდა გაზიარდეს. კი ნიშნავს რომ ველი გამოჩნდება, არა ნიშნავს რომ არ გამოჩნდება და API არ დააბრუნებს აღნიშნულ მონაცემებს
- **ადმინში სავალდებულოა** აღნიშნული ველი გულისხმობს, სამართავ პანელში ედიტორის ან ადმინის მიერ ახალი ჩანაწერის შექმნის დროს, რომელი ველი უნდა გამოჩნდეს და რომელი ველი უნდა იყოს სავალდებულო. კი ნიშნავს რომ გამოჩნდება როგორც სავალდებულო ველი და მისი შევსება იქნება წინაპირობა განაცხადის შექმნისთვის, არა ნიშნავს რომ ველი გამოჩნდება მაგრამ სავალდებულო არ იქნება, ხოლო "-" ნიშნავს რომ ველი არ გამოჩნდება ჩანაწერის შექმნის გვერდზე
- **ანკეტაში არის თუ არა** აღნიშნული ველი გულისხმობს, ეს ველი უნდა იყოს თუ არა PUBLIC URL ით API ინტეგრაციით შექმნილ ანკეტაში. კი ნიშნავს რომ გამოჩნდება როგორც სავალდებულო ველი და მისი შევსება იქნება წინაპირობა განაცხადის შექმნისთვის, არა ნიშნავს რომ ველი გამოჩნდება მაგრამ სავალდებულო არ იქნება, ხოლო "-" ნიშნავს რომ ველი არ გამოჩნდება ჩანაწერის შექმნის გვერდზე.

			ანკეტა 1 - ორგანიზაცია			ანკეტა 2 - სკოლა			ანკეტა 3 - ანსამბლი			ანკეტა 4 - მედია			ანკეტა 5 - სპორტი		
			ადმი წმ ი სა ვა ლ	გა ზი არ ს G D	ან კე ტა არ ის თ												
დიასპორული გაერთიანების რეესტრი	ადმ ინში ცხრ ილში ი გამ ოჩნ ვლის ტიპი		ადმი წმ ი სა ვა ლ	გა ზი არ ს G D	ან კე ტა არ ის თ												

	დეს თუ არა		დე ბუ ლო ა	A- ზე ა	უ არ ა												
შექმნის თარიღი	კი	ავტომატურად ივსება	-	არ ა	-	კი	არ ა	-									
განახლების თარიღი	კი	ავტომატურად ივსება	-	არ ა	-	კი	არ ა	-									
წაშლის თარიღი	არა	ავტომატურად ივსება	-	არ ა	-	კი	არ ა	-									
დასახელება (ქართულად)	კი	პარაგრაფ ველი	კი	კი	კი												
დასახელება (ლოკალურ ენაზე)	არა	პარაგრაფ ველი	არ ა	კი	კი	არ ა	კი	არ ა									
ქვეყანა	კი	ჩამონათვალი (ქვეყნების სია)	კი	კი	კი												
ქალაქი	კი	ინფუთ ველი	კი	კი	კი												
ხელმძღვანელის სახელი გვარი	კი	ინფუთ ველი (მიებას კატეგორიას თანამემამულეე ბი, სურათიც რომ გამოჩნდეს)	კი	კი	კი												
ორგანიზაციის დამფუძნებლები	არა	ინფუთ ველი რამოდენიმეს მიბმით (მიებას კატეგორიას თანამემამულეე ბი, სურათიც რომ გამოჩნდეს)	არ ა	არ ა	კი	არ ა	არ ა	არ ა									
ორგანიზაციის წევრები / დაკავშირებული პირები	არა	ინფუთ ველი რამოდენიმეს მიბმით (მიებას კატეგორიას თანამემამულეე ბი, სურათიც რომ გამოჩნდეს)	არ ა	არ ა	არ ა	-	არ ა	არ ა									
პედაგოგები/ქორეოგრაფ ები	არა	ინფუთ ველი რამოდენიმეს მიბმით (მიებას კატეგორიას თანამემამულეე	არ ა	არ ა	-	არ ა	არ ა	არ ა	არ ა	არ ა	არ ა	არ ა	არ ა	-	არ ა	არ ა	-

		ბი, სურათი(ც რომ გამოჩნდეს)															
ორგანიზაციის ტიპი	კი	ჩამონათვალი (დიასპორული, საკვირაო სკოლა, ენის კურსი, სამრევლო, ახალგაზდრული, სპორტული, მედია ჯგუფი და ა.შ.)	კი														
რეგისტრირებული (იურიდიული სტატუსი)	კი	ასარჩევი კი/არა. აქვე შესაძლებელია პარაგრაფ ველში კომენტარის დატოვება და ნებისმიერი ფორმატის ფაილის ატვირთვა	კი	არა	კი												
იურიდიული რეგისტრაციის თარიღი	არა	თარიღის ველი (მხოლოდ იურიდიული რეგისტრაციის შემთხვევაში)	კი	არა	კი												
დაარსების თარიღი	არა	თარიღის ველი	კი														
ორგანიზაციის მიზნები და ამოცანები	არა	პარაგრაფ ველი	კი														
აქტივობები (ცხრილში გამოჩნდეს რაოდენობა, რამდენი აქტივობა აქვს ჯამში)	არა	პარაგრაფ ველი	კი	არა	არა												
დიასპორული ორგ. სტატუსის მინიჭების თარიღი	კი	თარიღის ველი	არა	კი	არა												
დიასპორული ორგ. სტატუსის რეგისტრაციის ნომერი	არა	ინფუთ ველი	არა														
კავშირი დიასპორულ ორგანიზაციასთან	კი	კი არა, თუ კი ჩამონათვალი	არა	არა	-	არა	კი	კი	არა	კი	კი	არა	კი	არა	არა	კი	არა

მობილურის ნომერი	კი	ინფუთ ველი - ციფრების ვალიდაცია	კი	კი	კი	კი												
ელ ფოსტა	კი	ინფუთ ველი - ელ ფოსტის ვალიდაცია	კი	კი	კი	კი												
ვებ გვერდი	არა	ინფუთ ველი	არ ა	არ კი	არ ა	არ ა												
Facebook	არა	ინფუთ ველი	არ ა	არ კი	არ ა	არ ა												
Twitter	არა	ინფუთ ველი	არ ა	არ კი	არ ა	არ ა												
linkedin	არა	ინფუთ ველი	არ ა	არ კი	არ ა	არ ა												
იურიდიული მისამართი	არა	ინფუთ ველი	არ ა	არ კი	არ ა	არ ა												
ფაქტიური მისამართი	არა	ინფუთ ველი	არ ა	არ კი	არ ა	არ ა												
სხვა ინფორმაცია/დამატებითი ინფორმაცია	არა	პარაგრაფ ველი	არ ა	არ ა	-	არ ა	არ ა	-	არ ა	არ ა	არ ა	არ ა	არ ა	არ ა	არ ა	არ ა	არ ა	არ ა
თანხლები დოკუმენტები	არა	დოკუმენტების ატვირთვა	არ ა	არ ა	-	არ ა	არ ა	-	არ ა	არ ა	არ ა	არ ა	არ ა	არ ა	არ ა	არ ა	არ ა	არ ა
დამატებითი ველი 1	არა	პარაგრაფ ველი	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
დამატებითი ველი 2	არა	პარაგრაფ ველი	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
დამატებითი ველი 3	არა	პარაგრაფ ველი	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
დამატებითი ველი 4	არა	პარაგრაფ ველი	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
დამატებითი ველი 5	არა	პარაგრაფ ველი	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-

3. პლატფორმის ტექნიკური მოთხოვნები

პლატფორმის ტექნიკური მოთხოვნები მოიცავს შემდეგ საბაზისო საკითხებს:

1. CRM პლატფორმა წარმოადგენს ვებ აპლიკაციას, რომლის შესაქმნელად უნდა იყოს გამოყენებული Web Development ის სფეროში თანამედროვე მიდგომები და სტანდარტები

2. ვებ დეველოპმენტი უნდა განხორციელდეს 0 დან შექმნის პრინციპით და არ უნდა იქნეს გამოყენებული რომელიმე Open Source CMS მოდული, ან SaaS პლატფორმა
3. დეველოპმენტისთვის გამოყენებული უნდა იყოს შემდეგი Tech Stack:
 - a. Backend: Java, Spring Framework (Apache Server)
 - b. Frontend: ReactJS
 - c. DB: MSSQL (სატესტო და პროდაქშენ გარემოები დამოუკიდებლად)
 - d. Centralized logging - ELK Stack (free version), Just Database
4. შექმნილი ვებ აპლიკაცია თავსებადი უნდა იყოს და უხარვეზოდ ფუნქციონირებდეს შემდეგ პლატფორმებზე: Windows, Linux, Mac, Android, iOS და უნდა იყოს რესპონსიული სხვადასხვა ზომის მონიტორინგის ტიპებთან: Smartphones, Desktops, Tablets)
5. შექმნილი ვებ აპლიკაცია თავსებადი უნდა იყოს გავრცელებულ ვებ ბრაუზერებთან, როგორცაა: Chrome, Safari, Microsoft Edge, Opera და სხვა
6. ვებ საიტი უნდა იყოს ერთ ენოვანი - ქართულ ენოვანი, ხოლო მისი შრიფტები თავსებადი უნდა იყოს შრიფტების უნივერსალურ კოდირებაში (UTF-8)
7. ვებ აპლიკაციის არქიტექტურა უნდა იყოს გათვლილი მომავალ გაუმჯობესებებზე.
8. სამართავ პანელში ავტორიზაციისთვის საჭიროა ორ ფაქტორიანი ავტორიზაციის მოდული (ელ. ფოსტა და მასზე გაგზავნილი ერთჯერადი კოდი)
9. სამართავი პანელის ვიზუალური ნაწილი წინასწარ უნდა შეთანხმდეს დამკვეთთან, რეკომენდირებულია Metronic Theme-ის მსგავსი ვიზუალის ან უკეთესი თემა.
10. გამტარუნარიანობა: სისტემამ წაკითხვის ოპერაციაზე ნორმალურ პირობებში არ უნდა დახარჯოს 3 წამზე მეტი. რედაქტირების ოპერაციაზე არ უნდა დასჭირდეს 5 წამზე მეტი.
11. მომხმარებლის აქტივობის მოსალოდნელი მოცულობა: სისტემა უნდა უძლებდეს მაქსიმუმ 50 ერთდროულ მოხმარებელს, რომლებიც საშუალოდ წუთში ერთდროულად 100 ოპერაციას ახორციელებს.
12. სანდობა: სისტემის ე.წ UPTIME უნდა იყოს 98% მაინც. კრიტიკული შეცდომები ყველა ოპერაციიდან მაქსიმუმ 0.2%-ში უნდა ხდებოდეს.
13. მონაცემები დაზღვეული უნდა იყოს მისი წაშლის შემთხვევაში.
14. უსაფრთხოება: ყველანაირი სენსიტიური ინფორმაცია უნდა იყოს ენკრიპტირებული, როგორ დამინების, ისე ტრანზიციის დროს.

4. პროექტის მართვა და მისი ჩაბარება

პროექტის მართვისთვის გამოყენებული იქნება ეჯაილ მიდგომები, რომლის ძირითადი პრინციპებიც უნდა იქნას შემსრულებლის მიერ გარანტირებულად დაცული. მსგავსი პრინციპებია:

- გამჭვირვალობა დეველოპმენტის პროცესში- პროექტის დაწყებისთანავე, შემსრულებლის მიერ უნდა მოხდეს კონკრეტული გეგმის (ვადები, გუნდი) შეთანხმება, მნიშვნელოვანია პროექტში იყოს ჩართული შემდეგი კონფიგურაციის და გამოცდილების გუნდი:
 - პროექტის მენეჯერი - მინიმუმ 4 წლიანი გამოცდილებით
 - **Software architect** - დეველოპმენტში მინიმუმ 5 წლიანი გამოცდილება და მინიმუმ 2 პროექტის არქიტექტურის გაკეთების გამოცდილება. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბაზების არქიტექტურის მიმართებით გამოცდილებას
 - **2 Back end** დეველოპერი - მინიმუმ 3 წლიანი გამოცდილების დეველოპერი
 - **2 Middle Backend** დეველოპერი 1.5 წლიანი გამოცდილებით
 - **Frontend React** დეველოპერი 5 წლიანი გამოცდილებით
 - **QA** მენეჯერი - მინიმუმ 4 წლიანი გამოცდილების ტესტირერი
 - **UI/UX** დიზაინერი 2 წლიანი გამოცდილებით
- სწრაფი დელივერი - მნიშვნელოვანია რომ პროექტის გეგმა მოიცავდეს დეველოპმენტის ფაზების ისე დაყოფას რომ მოხდეს ეპიკების სწრაფი ჩაბარება.

პროცესი უნდა მოიცავდეს 2 კვირიან სპრინტებს, შესაბამისი პროგრეს რეპორტებით და სკოუპის დამკვეთთან შეთანხმებული ეპიკების სტრუქტურას.

თითოეული ეპიკის მაქსიმალური ხანგრძლივობა რომ არ აღემატებოდეს 4 კვირას (2 სპრინტს). ეჯაილ მენეჯმენტში ეპიკი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს, რაც გულისხმობს დეველოპმენტ ამოცანების ისე კონფიგურირებას, რომ თითოეული ეპიკი ქმნიდეს დამკვეთისთვის ხელშესახებ და ღირებულ ფუნქციონალების / მახასიათებლების ერთობლიობას;

- კომუნიკაცია - მნიშვნელოვანია შემსრულებელმა წარმოადგინოს 2 კვირიანი სპრინტის პროგრეს რეპორტები, ხოლო ეპიკის ჩაბარება მოხდეს შეხვედრით და წარდგენით. პროექტის გუნდმა პროექტის მართვისთვის უნდა აგამოიყენოს **Task Management Platform** და საჭიროებისამებრ უნდა მოხდეს დამკვეთის მხრიდან გუნდის ნევრი დამატება.

პროექტის სავარუდო ეტაპები, რომლის დეველოპმენტის შემდეგაც უნდა მოხდეს ვერსიების ატვირთვა სატესტო გარემოში ტესტირება და დამკვეთთან ჩაბარება (აღნიშნული ეტაპები არის საორიენტაციო და შემსრულებლის მიერ უნდა მოხდეს მისი შეხედულებისამებრ გადაკეთება, წარდგენა და დამტკიცება):

1. პლატფორმის არქიტექტურის და IT ინფრასტრუქტურის შექმნა - სამინისტროს IT გუნდთან კომუნიკაცია და მათი მხრიდან დადასტურება
2. სამართავი პანელის ვიზუალური თემფლეითის შერჩევა დანერგვა და ავტორიზაციის ფუნქციონალის გამართვა - შედეგად შესაძლებელია სატესტო გარემოზე სატესტო URL ით ადმინში შესვლა
3. თანამემამულეების ანკეტის შექმნა და დამატების ფუნქციონალი - შედეგად შესაძლებელია ავტორიზირებული იუზერის მიერ მოხდეს თანამემამულის დამატება და ცხრილში/დეტალურ გვერდზე მონაცემების
4. ქმედებების ისტორიის შენახვა, ნებისმიერი ცვლილება, განახლება, ნაშლა, დამატება უნდა შეინახოს შესაბამის ცხრილში

5. გაერთიანებების ანკეტის ნახვა და დამატების ფუნქციონალი - შედეგად შესაძლებელია ავტორიზირებული იუზერის მიერ მოხდეს თანამემამულის დამატება და ცხრილში/დეტალურ გვერდზე მონაცემების
6. გლობალურ პარამეტრებში - ანკეტის ველების დინამიური ველების და ფუნქციების მართვა
7. ცხრილების სტრუქტურის შექმნა - ფილტი, სორტი, ძიება, მონაცემების რედაქტირება და წაშლა და მონაცემების ექსპორტი
8. მომხმარებლების როლების და ფუნქციების მატრიცა - ახალი მომხმარებლის ადმინდიანვე დამატების ფუნქცია
9. მომხმარებლის მიერ დამატების და ცვლილებების დადასტურება ადმინისტრატორის მხრიდან
10. **Public URL/API** მეთოდებით განაცხადების მიღება და **API** მეთოდით საინტეგრაციო სერვისების შექმნა: მონაცემების გაზიარება
11. შეტყობინებების მართვა
12. კალენდრის ფუნქციონალის მართვა